საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 645 2025 წლის 15 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს კულტურის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისთვის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აკრედიტებული უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების საფასურის სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობებზე მეტი ოდენობით განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 81-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კულტურის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას მიეცეს თანხმობა:

ა) ბაკალავრიატის საფეხურის აკრედიტებულ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე – „ფერწერაზე" სწავლისათვის გადასახდელი საფასური განსაზღვროს სახელმწიფო სასწავლო გრანტის თანხის ოდენობისგან განსხვავებული ოდენობით – 12 600 (თორმეტი ათას ექვსასი) ლარით;

ბ) მაგისტრატურის საფეხურის აკრედიტებულ ინგლისურენოვან

საგანმანათლებლო პროგრამაზე – „მხატვრულ კერამიკაზე“ სწავლისათვის გადასახდელი საფასური განსაზღვროს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობისგან განსხვავებული ოდენობით – 8 700 (რვა ათას შვიდასი) ლარით;

გ) მაგისტრატურის საფეხურის აკრედიტებულ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე – „ტექსტილის დიზაინზე“ სწავლისათვის გადასახდელი საფასური განსაზღვროს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობისგან განსხვავებული ოდენობით – 8 700 (რვა ათას შვიდასი) ლარით;

დ) მაგისტრატურის საფეხურის აკრედიტებულ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე – „მედიახელოვნება/ციფრულ მედიაზე“ სწავლისათვის გადასახდელი საფასური განსაზღვროს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობისგან განსხვავებული ოდენობით – 4 000 (ოთხი ათასი) ლარით.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე